23 APRILIE

RUGACIUNEA 6

SF.MARE MUCENIC

GHEORGHE DE LA CAPADOCIA

ჰ, კეთილშუენიერებითა ცისკროვან-ბრწყინვალეო, დიდო მოწამეო გიორგი, მნათობო ყოვლისა სოფლისაო და ახოვანო მჴედარო ქრისტჱს ღმრთისაო, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო, შემწეო მორწმუნეთაო და მწუხარეთა სიხარულო და მხიარულებაო, გამომჴსნელო ტყუეთაო და ღმრთისა მიმართ მეოხო ყოველთა მვედრებელთა და მადიდებელთა შენთაო.

ჰ, ღმრთივგჳრგჳნოსანო, დიდო მოწამეო გიორგი! მოგჳსენე წინაშე ღმრთისა და ელვარებითა სიწმიდისა შენისადთა მოხედენ სამკჳდრებელსა ქართველთასა, და მკჳდრსა მას ზედა ერსა ჩუენსა, მართლმადიდებელსა, მძლავრთა კუეთებისაგან მრავალგზის შეჭირვებულსა და განამტკიცე იგი. დაამდაბლე ქუეშე ფერჴთა ქრისტიანეთასა წინააღმდგომნი მტერნი, ხილულნი და უხილავნი, და ვითარცა თანამბრძოლ ექმენ დიდგორს

ღმრთისმოყუარესა მეფესა დავითს და მიჰმალე უცხო თესლსა ზედა „ძლევაჲ საკჳრველი“, ეგრეთვე აწ გვიოხე ქრისტჱს მიმართ და გჳთხოვე, გარე წარაქციოს რისხვაჲ აღდგომილი ჩუენ ზედა, სიმრავლისაგან ცოდვათა ჩუენთასა, და ლაზარესაებრ აღგჳდგინოს მამული ჩუენი - საქართველო - პირველსავე დიდებასა, რაჲთა არა დასათრგუნველ ვიქმნეთ მარბიელთა უცხოთა ტომთა და ნათესავთაგან და არცაღა ჰსთქუან წარმართთა, სადა არს ღმერთი მათი, რომლისა მიმართ აქუთ სასოებაჲ. განაძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღდელონი და სამონოზნო წესნი, მჴედართმთავარნი და ქალაქმთავარნი, მრავ-ალშემძლებელითა ძალითა შენითა განაძლიერე ქრისტჱსმოყუარე მჴედრობანი, და კეთილის-მყოფელნი ჩუენნი, და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი.

ჱ, ახოვანო და ღუაწლსა შინა სახელოვანო მოწამეო, წმიდაო გიორგი! ღმრთივდიდებულითა საკჳრველებითა და ნიშებ-სასწაულითა შენითა

განათავისუფლე ტყუენი, განჰკურნე უძლურნი, იკსენ განსაცდელსა შინა მყოფნი, განარინე ზღუასა შინა მავალნი, მოაქციენ ცოდვილნი და შეაწყნარეთ ქრისტესა ღმერთსა, ყოველთა შემწყნარებელსა. ყოველნი მარტჳლთმოყუარენი და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი ადიდე და სულითა და ჴორცით აღამაღლე, რაჲთა სასუფეველისა დიდებასა და დიდადშუენიერსა ბრწყინვალებასა ღმრთისასა ღირს ვიქმნნეთ ყოველნი, ანგელოზთა თანა უგალობდეთ, წმიდათა თანა ვადი-დებდეთ და შენ თანა ცხოვნებულნი ვაკურთხევდეთ შენსა გჳრგჳნოსანმყოფელსა მამასა, შენსა განმაძლიერებელსა ძესა და შენ შორის მეტყველსა სულსა წმიდასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.